

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

როგორ მოვემზადოთ პედაგოგთა
სასერტიფიკაციო გამოცდისათვის

გ ე ო გ რ ა ფ ი ა

თბილისი

2015

შესავალი

გეოგრაფიის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდა მიზნად ისახავდა მასწავლებელთა კვალიფიკაციის შემოწმებას და შესაბამისი სერტიფიკატის გაცემას.

წინამდებარე კრებულის დანიშნულებაა სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის გეოგრაფიის მასწავლებლებს გააცნოს სასერტიფიკაციო გამოცდის მოთხოვნები, საგამოცდო პროგრამა და ტესტურ დავალებათა ნიმუშები. კრებულში მოყვანილი ტესტური დავალებები შედგენილია მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტის საფუძველზე.

კრებულში წარმოდგენილია 2014 წლის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდის ტესტი და შეფასების სქემა. დავალებებს თან ახლავს ინსტრუქციები და რეკომენდაციები.

ვიმედოვნებთ, ეს კრებული დახმარებას გაგიწევთ 2015 წლის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდის მომზადების პროცესში.

გისურვებთ წარმატებას!

საგამოცდო კრებული წარმოადგენს „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ საკუთრებას და დაცულია საქართველოს კანონით - „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“. „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ ნებართვის გარეშე დაუშვებელია ტექსტში რაიმე ცვლილების შეტანა, რეპროდუქცია, თარგმნა და სხვა საშუალებებით (როგორც ბეჭდვითი, ასევე ელექტრონული ფორმით) გავრცელება, აგრეთვე იკრძალება საგამოცდო კრებულის გამოყენება კომერციული მიზნებისათვის.

2015 წლის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდის პროგრამა

გეოგრაფიის საგამოცდო პროგრამა შეადგინა შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის გეოგრაფიის ჯგუფმა და ეფუძნება მასწავლებელთა პროფესიულ სტანდარტს.

საკითხთა ჩამონათვალი	საკითხის დაზუსტება
1. პროფესიული უნარ-ჩვევები	
დრო და სივრცე	<ul style="list-style-type: none"> • რუკის ენის გაგება; რუკისა და სხვა თვალსაჩინოებების (სქემა, დიაგრამა, ფოტო, ცხრილი, გრაფიკი) გამოყენებით ინფორმაციის მოძიება; • სივრცეში ორიენტირება – ჰორიზონტის მხარეები, გრადუსთა ბადე; ადგილის მდებარეობის განსაზღვრა; • ლეგენდის გამოყენებით სიმბოლოების აღქმა; • რუკებიდან და სხვა თვალსაჩინოებებიდან (ფოტოები, გრაფიკები, ცხრილები, დიაგრამები და სხვ.) მოპოვებული ინფორმაციის დაკავშირება გეოგრაფიულ ცოდნასთან და ამის საფუძველზე ადგილის, მოვლენისა და პროცესების დახასიათება, კანონზომიერებების დადგენა; • რელიეფის, ჰიდროსფეროს, ატმოსფერული მოვლენების, ბუნებრივი რესურსების, განსახლებების, მოსახლეობის დემოგრაფიული მახასიათებლების, სოციალური და ეკონომიკური სისტემების, სატრანსპორტო სისტემის შესახებ ინფორმაციის მოძიება-ანალიზი.
გეოგრაფიული ინტერპრეტაცია	<ul style="list-style-type: none"> • გეოგრაფიული ტერმინებისა და ცნებების ადეკვატური გამოყენება; • გეოგრაფიული ფაქტების მოსაზრებისგან განსხვავება; • გავრცელებული გეოგრაფიული სტერეოტიპების კონტრარგუმენტაცია.
კომუნიკაცია	<ul style="list-style-type: none"> • რუკებისა და სხვა თვალსაჩინოებების გამოყენებით საკუთარი მოსაზრებების გამოხატვა; • მოვლენებსა და პროცესებს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე მსჯელობა; • გეოგრაფიული დავალების სპეციფიკის გათვალისწინებით სამუშაოს დანაწილება, განხილვა და სხვ.
2. პროფესიული ცოდნა	
გეოგრაფიის შესავალი	<ul style="list-style-type: none"> • გეოგრაფიის შესწავლის ობიექტი და მიზნები; • გეოგრაფიული ცოდნის განვითარება (ანტიკური ხანა, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები, თანამედროვე გეოგრაფია);

	<ul style="list-style-type: none"> • მოგზაურები და მკვლევარები¹; • საქართველოსა და მსოფლიოს ნომენკლატურა; • თანამედროვე გეოგრაფიული მეცნიერების სისტემა; • გეოგრაფიული კვლევის მეთოდები: ტრადიციული (აღწერილობითი, შედარებით-გეოგრაფიული, კარტოგრაფიული) და თანამედროვე (მათემატიკური, აეროკოსმოსური, გეოინფორმაციული, მოდელირება); • გეოგრაფიული პროგნოზირება; • მდგრადი განვითარების არსი და პერსპექტივა.
<p>გეგმა, რუკა და სხვადასხვა ტიპის თვალსაჩინოებები</p>	<ul style="list-style-type: none"> • ადგილის გეგმა (კითხვა და გამოყენება); • სხვადასხვა ტიპის გეოგრაფიული რუკები და ატლასები, ტოპოგრაფიული რუკა (რუკის ლეგენდა, მასშტაბი, ორიენტირება, გრადუსთა ბადე, გრძედი და განედი, ეკვატორი, პოლუსები, ტროპიკები და პოლარული წრეები, გეოგრაფიული კოორდინატები, ადგილის სიმაღლის განსაზღვრა (აბსოლუტური და შეფარდებითი სიმაღლეები), ანალიზი, ამოცანების შექმნა და გადაჭრა), კურვიმეტრი; • ადგილზე ორიენტირება, კომპასი (გამოყენება, ამოცანების შექმნა და გადაჭრა); • გეოდეზიური ხელსაწყოების მუშაობის პრინციპები (ნიველირი, თეოდოლიტი, GPS); • სხვადასხვა ტიპის გეოგრაფიული თვალსაჩინოებების (ფოტო, ნახატი, სქემა, ცხრილი, გრაფიკი, დიაგრამა) კითხვა, ანალიზი, ამოცანების გადაჭრა, მათი გამოყენებით დავალებების შექმნა.
<p>საბუნებისმეტყველო გეოგრაფია</p>	<ul style="list-style-type: none"> • დედამიწის ფორმა და სიდიდე; • დედამიწის დღე-ღამური და წლიური მოძრაობა; • სასაათო ზოლები, თარიღთა ცვლის ხაზი; • გეოქრონოლოგია (განმარტება, სქემის ანალიზი); • ატმოსფერო, ლითოსფერო, ჰიდროსფერო და ბიოსფერო; • დედამიწის ქერქი, ტექტონიკური ფილების მოძრაობა; • კონტინენტები და მისი ნაწილები (მდებარეობა, ბუნება, რესურსები); • ენდოგენური და ეგზოგენური რელიეფწარმომქმნელი პროცესები, რელიეფის ფორმები და ტიპები; • რელიეფის გავლენა კლიმატზე, მცენარეებზე, ცხოველებზე, მეურნეობაზე; • ამინდი და ჰავა;

¹ ეფუძნება სასკოლო სახელმძღვანელოებს.

- ჰაერის ტემპერატურა, ტემპერატურის ცვლილება განედის, აბსოლუტური სიმაღლისა და ოკეანიდან დაშორების მიხედვით;
- ჰაერის მასები (ატმოსფერული წნევა, ატმოსფერული ფრონტი, ციკლონი, ანტიციკლონი);
- სხვადასხვა ტიპის ქარები, მათი წარმოშობა და გავრცელების კანონზომიერებები (ბრიზი, მუსონი, პასატი, ბორა, ფიონი);
- წყლის ბრუნვა ატმოსფეროში, ჰაერის ტენიანობა, აორთქლება, აორთქლებადობა;
- ღრუბელი, ნისლი და ატმოსფერული ნალექები, მათი სახეები, წარმოშობა და გავრცელების კანონზომიერებები (წვიმა, სეტყვა, თოვლი, ნამი, თრთვილი, ჭირხლი, ლიპყინული);
- კლიმატის გავლენა ადამიანზე და მის სამეურნეო საქმიანობაზე (სოფლის მეურნეობაზე, ტრანსპორტზე, მშენებლობაზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე);
- შიდა წყლები (მდინარეები, ტბები, მყინვარები, მიწისქვეშა წყლები, ჭაობები, წყალსაცავები), საზრდოობა და რეჟიმი, გავლენა რელიეფზე, მიკროკლიმატზე, მოსახლეობაზე, მეურნეობაზე;
- ზღვებისა და ოკეანეების მდებარეობა და სიდიდე; მარილიანობა, ტემპერატურა, სიღრმე, მიქცევა-მოქცევა, დინებები, გავლენა კლიმატზე, ორგანული სამყარო, დაბინძურება, სრუტეები, ყურეები, კუნძულები;
- ნიადაგის ტიპები და ნაყოფიერება, გავრცელების კანონზომიერება;
- ზონალურობა (კლიმატური სარტყლები, ბუნებრივი ზონები და ვერტიკალური ზონალურობა, მცენარეთა და ცხოველთა სამყარო);
- ბუნებრივი რესურსების გამოყენება, გავრცელება, მნიშვნელობა, კლასიფიკაცია და მდგრადი გამოყენება (კლიმატური, ნიადაგის, ჰიდრო, ჰელიო და ეოლური რესურსები, სასარგებლო წიაღისეული);
- სტიქიური ბუნებრივი მოვლენები (ქარიშხალი, ტაიფუნი, ქარბორბალა (ტორნადო, სმერჩი), ვულკანიზმი, მიწისძვრა, ცუნამი, შტორმი, წყალდიდობა, წყალმოვარდნა, ღვარცოფი, მეწყერი, ზვავი, სეტყვა);
- სხვადასხვა ტიპის ხელსაწყოები და მათი გამოყენების პრინციპი (თერმომეტრი, ფლუგერი, ანემომეტრი, ბარომეტრი, ნალექზომი, ჰიგრომეტრი, ავტომატური მეტეოსადგურები,

	<p>ექოლოტი, სეისმოგრაფი);</p> <ul style="list-style-type: none"> • გარემოს დაცვა (საერთაშორისო გარემოსდაცვითი ორგანიზაციები (გრინფისი, ველური ბუნების მსოფლიო ფონდი), დაცული ტერიტორიების ტიპები, ბიომრავალფეროვნება).
<p>საზოგადოებრივი გეოგრაფია</p>	<ul style="list-style-type: none"> • გეოგრაფიული მდებარეობა; • მეურნეობის დარგები (სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, მომსახურების სფერო); • მოსახლეობის გეოგრაფია (მოსახლეობის სიმჭიდროვე, მიგრაცია (ტიპები, მიზეზები და ფაქტორები, ისტორიული და თანამედროვე ნაკადები, ლტოლვილები, იძულებით გადაადგილებული პირები), განსახლების ტიპები და ურბანიზაცია (თავისებურებები, განვითარება); • მსოფლიო პოლიტიკური რუკის ფორმირება; • მოსახლეობის დინამიკა და დემოგრაფიული ვითარება (ისტორიული წარსულიდან დღემდე, დემოგრაფიული მაჩვენებლები (მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, შობადობის, მოკვდავობის, ბუნებრივი მატების კოეფიციენტები), კვლავწარმოების (აღწარმოების) ტიპები, განსხვავებები და მსგავსებები ქვეყნების მიხედვით, რასობრივი, ეთნიკური და რელიგიური სტრუქტურა (გავრცელება); • რეგიონების და ქვეყნების კლასიფიკაცია დემოგრაფიული და სოციალური მაჩვენებლების მიხედვით (სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის, შობადობის, მოკვდავობის, ჯანდაცვის და განათლების დონის მიხედვით); დემოგრაფიული გადასვლა, დემოგრაფიული პოლიტიკა); • მსოფლიოს რეგიონები (კავკასია, ჩრდილოეთი ამერიკა (აშშ და კანადა), ლათინური ამერიკა (კარიბის აუზი, ცენტრალური და სამხრეთი ამერიკა), ევროპა (ჩრდილოეთი ევროპა, დასავლეთი ევროპა, სამხრეთი ევროპა, აღმოსავლეთი ევროპა), აფრიკა (ჩრდილოეთი აფრიკა (მაღრიბი), დასავლეთი აფრიკა, ცენტრალური აფრიკა, აღმოსავლეთი აფრიკა სამხრეთი აფრიკა), აზია (ახლო აღმოსავლეთი (მაშრიყი), შუა აზია, სამხრეთი აზია, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია, აღმოსავლეთი აზია), ავსტრალია და ოკეანეთი (ავსტრალია და ახალი ზელანდია, მელანეზია, მიკრონეზია, პოლინეზია); • ქვეყნები მმართველობის ფორმისა და

	<p>ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის მიხედვით;</p> <ul style="list-style-type: none"> • ქვეყნები სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით (ჰუმანური განვითარების ინდექსი, მშპ, საარსებო მინიმუმი, გლობალიზაციის ინდექსი); • განვითარებული და განვითარებადი ქვეყნები (ჩრდილოეთი და სამხრეთი); • მსოფლიოს ქვეყნების: მდებარეობა, ბუნება, მმართველობის ფორმა, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა, მოსახლეობა, მეურნეობა, ეკონომიკური ცენტრები და ეკონომიკური მაჩვენებლები, კულტურული მრავალფეროვნება (აშშ, გაერთიანებული სამეფო, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, იაპონია, კანადა, ჩინეთი, ინდოეთი, ბრაზილია, ჩილე, სარ, ავსტრალია, ესპანეთი); • საერთაშორისო ორგანიზაციების კლასიფიკაცია სტატუსისა და საქმიანობის ტიპის მიხედვით (მნიშვნელოვანი საერთაშორისო სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური, ჰუმანიტარული, სპორტული და გარემოსდაცვითი ორგანიზაციები - გაერო, იუნესკო, იუნისეფი, ნატო, ევროპის კავშირი, ევროპის საბჭო, დსთ, მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაცია, ოპეკი, წითელი ჯვარი, სოკი); • გლობალიზაციის პროცესი (გლობალიზაცია, გლოსალიზაცია, ანტიგლობალიზაცია); • უმნიშვნელოვანესი გლობალური პრობლემები და მათი მოგვარების გზები (პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, დემოგრაფიული, რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური, ეკოლოგიური).
<p>საქართველოს გეოგრაფია</p>	<ul style="list-style-type: none"> • მდებარეობა და საზღვრები, ტერიტორიის ფორმირება; • მმართველობის ფორმა და ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობა; • ბუნება (მნიშვნელოვანი ფიზიკურ-გეოგრაფიული მახასიათებლები: კლიმატი, რელიეფი, შიდა წყლები, შავი ზღვა, ნიადაგები, ფლორა და ფაუნა); • ბუნებრივი და მინერალური რესურსები; • მოსახლეობა (გეოგრაფია, დემოგრაფია, მიგრაცია, ურბანიზაცია, მოსახლეობის საყოველთაო აღწერა); • მოსახლეობის ეთნიკური და რელიგიური სტრუქტურა; • სახასიათო ბუნებრივი და ანთროპოგენური

	<p>ლანდშაფტები;</p> <ul style="list-style-type: none"> • ინფრასტრუქტურა (გზები და კომუნიკაციები (ელექტრო გადამცემი ხაზები, გაზსადენები და ნავთობსადენები); • მეურნეობის დარგები (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მომსახურების სფერო); • კულტურული მრავალფეროვნება; • გარემოსდაცვითი პრობლემები და სტიქიური მოვლენები (ატმოსფეროს, წყლის და ნიადაგის დაბინძურების საკითხები; მიწისძვრა, მეწყერი, ზვავი, ღვარცოფი, წყალდიდობა, სეტყვა, ქვათაცვენა); • ბუნების დაცვა (სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების როლი, დაცული ტერიტორიების გეოგრაფია, სტატუსი, შექმნის მიზეზები და მიზნები, მნიშვნელობა და დაცვის განსაკუთრებული ობიექტები, წითელი წიგნი და სხვ.); • საქართველოს რეგიონები (კომპლექსური გეოგრაფიული აღწერა სამხარეო დონეზე).
--	---

3. სწავლების მეთოდები

<p>სასწავლო პროცესის დაგეგმვა</p>	<ul style="list-style-type: none"> • გრძელვადიანი და მოკლევადიანი მისაღწევი სასწავლო მიზნების, შესაბამისი ამოცანების, მოსალოდნელი შედეგებისა და მათი ინდიკატორების განსაზღვრა; • სასწავლო თემის სასწავლო პროცესის საჭიროებებისათვის მისადაგება; • გეოგრაფიის საგნობრივ პროგრამაზე დაფუძნებული ისეთი სასწავლო გეგმის შექმნა, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეების ინტერესებს, ასაკობრივ თავისებურებებს, ცოდნას, შესაძლებლობებსა და გამოცდილებას; • ისეთი შეფასების ტიპების (განმავითარებელი და განმსაზღვრელი) შემუშავება, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნება შეფასდეს მოსწავლეთა როგორც ცოდნა, ასევე უნარ-ჩვევები; • სხვა საგნობრივი ჯგუფების მასწავლებლებთან ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე საგნის სწავლების სტრატეგიის შემუშავება და აქტივობების დაგეგმვა.
-----------------------------------	---

<p>შეფასება</p>	<ul style="list-style-type: none"> • შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა და შეფასების ცხრილების შედგენა შემდეგი ტიპის აქტივობებისათვის: პრობლემის იდენტიფიკაცია, ინფორმაციის მოძიება, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების განსაზღვრა და მათი ეფექტურობის შეფასება, გეოგრაფიული თვალსაჩინოებების გამოყენება, სხვადასხვა ტიპის გეოგრაფიული ტექსტების ანალიზი, გეოგრაფიული კვლევის დაგეგმვა, სხვადასხვა გეოგრაფიულ თემებზე საკლასო დისკუსიების დაგეგმვა, სხვადასხვა ტიპის წერითი დავალებების შესრულება; • გეოგრაფიაში მოსწავლეთა პროგრესისა და მიღწევების მონიტორინგის წარმართვა; • მასწავლებლისათვის შეთავაზებული თანამედროვე სწავლების კონცეფციების, მეთოდებისა და ტექნიკის კრიტიკულად შეფასება.
-----------------	--

ლიტერატურა

1. ალფენიძე მ., ელიზბარაშვილი ე., ხარაძე კ. - ზოგადი ფიზიკური გეოგრაფია - თსუ, თბ. 2004 წ.
2. ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირების სწავლება ინტერაქტიული მეთოდებით (დამრიგებლის წიგნი V-IX კლასები) - ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრი, თბ. 2011წ.
3. გერგედავა ბ., - ზოგადი დედამიწათმცოდნეობა - განათლება, თბ. 1999 წ.
4. გეოგრაფია (დამხმარე სახელმძღვანელო უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის), ნაწ. 1, _ თსუ, თბ. _ 1991 წ.
5. გეოგრაფია (დამხმარე სახელმძღვანელო უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის), ნაწ. 2, _ თსუ, თბ. _ 1992 წ.
6. გეოგრაფიის ენციკლოპედია და ატლასი _ ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა_ თბ._ 2008 წ.
7. განვითარებისა და სწავლების თეორიები. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, დამხმარე სახელმძღვანელო, 2008 წ.
8. კარტოგრაფია და თანამედროვეობა (რედკოლეგია: ჯ. კეკელია, რ. გობეჯიშვილი, ნ. ბერუჩაშვილი, თ. გორდეზიანი, გ. ლიპარტელიანი, მ. კოროშინაძე) - უნივერსალი, თბ. 2006 წ.
9. კოტარია ა., - მეტეოროლოგიის საფუძვლები - თსუ, თბ. 1992 წ.
10. ლიპარტელიანი გ., ლიპარტელიანი დ. _ გეოგრაფიული კარტოგრაფიის ტერმინოლოგიური ცნობარი _ „უნივერსალი“, თბ. 2012 წ.
11. მარგველანი გ., _ ჩრდილოეთ ამერიკის ფიზიკური გეოგრაფია _ თსუ, თბ. _ 1990 წ.
12. მარგველანი გ., _ სამხრეთ ამერიკის ფიზიკური გეოგრაფია _ თსუ, თბ. _ 1994 წ.
13. მარგველანი გ., _ ავსტრალიისა და ოკეანეთის ფიზიკური გეოგრაფია _ თსუ, თბ. _ 1995 წ.
14. მარგველანი გ., _ ანტარქტიდის ფიზიკური გეოგრაფია _ თსუ, თბ. _ 1997 წ.
15. მარგველანი გ., _ აფრიკის ფიზიკური გეოგრაფია _ თსუ, თბ. _ 1999 წ.
16. მარგველანი გ., _ აზიის ფიზიკური გეოგრაფია _ თსუ, თბ. _ 2000 წ.
17. მარგველანი გ., _ ევროპის ფიზიკური გეოგრაფია _ თსუ, თბ. _ 2001 წ.
18. რობერტ ჯ. მარზანო, დებრა ჯ. ფიქერინგი, ჯეინ ი. ფოლოქი _ ეფექტური სწავლება სკოლაში: კვლევაზე დაყრდნობით შემუშავებული მეთოდები, რომლებიც აუმჯობესებს მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებას. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2009 წ.
19. მსოფლიოს სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია (სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისათვის) - ლევა, თბ. - 2004 წ.
20. საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. 2, სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია - მეცნიერება, თბ. - 2003 წ.
21. საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. 1, ფიზიკური გეოგრაფია - მეცნიერება, თბ. 2000 წ.
22. სასწავლო და პროფესიული გარემო. სწავლება და შეფასება. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, დამხმარე სახელმძღვანელო_ 2008 წ.
23. საქართველოს ატლასი _ ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა_ თბ._ 2008 წ.
24. საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. 1, დამხმარე სახელმძღვანელო უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის _ თსუ, თბ. _ 1991 წ.
25. საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. 2, დამხმარე სახელმძღვანელო უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის _ თსუ, თბ. _ 1992 წ.

26. საქართველოს გეოგრაფია (სახელმძღვანელო არაგეოგრაფიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის) _კაბადონი, თბ. _ 1999 წ.
27. საქართველო დაცული ტერიტორიები _ წიგნის სახელოსნო, თბ. 2007 წ.
28. სწავლება და შეფასება. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, დამხმარე სახელმძღვანელო, 2008 წ.
29. სეფერთელაძე ზ., ნეიძე ვ., _ გეოგრაფია (უმადლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის), ნაწ. 1, _ ლეგა, თბ. _ 2002 წ.
30. ჯაოშვილი ვ., _ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია _ თსუ, თბ. _ 1996 წ
31. მელაძე გ., _ საქართველო და გლობალური დემოგრაფიული პროცესები _ თბ. _ 2013 წ.
32. VI, VIII, IX, X, XI, XII კლასების სასკოლო გრიფირებული სახელმძღვანელოები და მასწავლებლის წიგნები;

ინტერნეტ რესურსი

ინტერნეტის საშუალებით შესაძლებელია სხვა ქვეყნებში მიმდინარე პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდებთან დაკავშირებული ინფორმაციის, სასკოლო ლიტერატურის, სანიმუშო გაკვეთილებისა და სხვ. მოპოვება. ამ მიზნით ქვემოთ მოცემულია ვებმისამართების მოკლე ჩამონათვალი:

ქართულენოვანი საიტები:

- ❖ ინტერნეტ გაზეთი მასწავლებელი
<http://www.mastwavlebeli.ge>
- ❖ ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირების სწავლება ინტერაქტიული მეთოდებით
<http://elibrary.emis.ge/ge/books/read/129/>
- ❖ დაცული ტერიტორიების სააგენტო
<http://apa.gov.ge/>
- ❖ გეოსაინფორმაციო სისტემებისა და დისტანციური ზონდირების ცენტრი გეოგრაფიკი (თემატური რუკები, ტოპოგრაფიული რუკები, აერო ფოტოსურათები და სხვ.)
<http://www.geographic.ge/>

უცხოურენოვანი საიტები:

- ❖ პრაქსის სერიის პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდები
<http://www.ets.org/praxis/>
- ❖ მსოფლიოსა და ცალკეული ქვეყნების რუკები (მათ შორის კონტურული)
<http://www.planetolog.ru/>
- ❖ სხვადასხვა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული და სხვა მაჩვენებლები
<https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/>
<http://www.census.gov/ipc/www/idb/country.php>
<http://www.gapminder.org/world/>
- ❖ მრავალფეროვანი გეოგრაფიული ინფორმაცია, მოგზაურობა და ექსპედიციები, ბუნება, მეცნიერება, ეკოლოგია
<http://www.nationalgeographic.com/>
<http://natgeotv.com/>
<http://www.vokrugsveta.ru/>
<http://www.geo.ru/>

დავალების ტიპების აღწერა

დავალების I ტიპი

- **კითხვა არჩევითი პასუხებით**

დავალების აღწერა – დავალებაში დასმულია კითხვა, რომელსაც ახლავს პასუხების ჩამონათვალი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი.

დავალება ამოწმებს - გეოგრაფიის პედაგოგისათვის აუცილებელ მეთოდურ საკითხთა ცოდნას (სასწავლო პროცესის ეფექტურად დაგეგმვის უნარს, რუკებზე და სხვა თვალსაჩინოებებზე მუშაობის უნარს, სასწავლო რესურსების გამოყენების სპეციფიკას და ა.შ.), ასევე ფაქტობრივი მასალის, ცნებებისა და ტერმინების ცოდნას; მოვლენათა დამახასიათებელი ნიშნებისა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოვლენის უნარს. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

ნიმუში იხილეთ 2014 წლის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდის ტესტში.

დავალების II ტიპი

- **შესაბამისობის დადგენა**

დავალების აღწერა – დავალებაში მოცემულია ორი სვეტი სხვადასხვა ტიპის ჩამონათვალთ. უნდა დადგინდეს ამ ორ ჩამონათვალს შორის შესაბამისობა. ზოგიერთი დავალებისთვის შესაძლებელია პასუხების გამეორება, ზოგისათვის კი – არა.

დავალება ამოწმებს - ფაქტობრივი მასალის ცოდნასა და მისი გამოყენების უნარს, ასევე ინფორმაციის კლასიფიცირების, მისი გარკვეული ნიშნით დაჯგუფების/განზოგადების უნარს. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

დავალების ნიმუშები იხილეთ 2014 წლის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდის ტესტში.

დავალების III ტიპი

- **რუკის ანალიზი**

დავალების აღწერა - დავალებაში მოცემულია ტოპოგრაფიული რუკა. ყურადღებით უნდა შეისწავლოთ იგი და უპასუხოთ კითხვებს.

დავალება ამოწმებს - რუკის ლეგენდის გამოყენებას, რუკის მეშვეობით ადგილზე ორიენტირებას, უმოკლესი ან ხელსაყრელი მარშრუტების განსაზღვრას; ადგილის დახასიათებას; რუკაზე მოცემული გეოგრაფიული ობიექტების მახასიათებლების დადგენა/განსაზღვრას; რუკაზე მოცემული გეოგრაფიული ინფორმაციის ანალიზს; რუკის მიხედვით მოსწავლეთათვის დავალებების შედგენას და კონკრეტული ამოცანების ახსნას / სწავლებას; საკუთარი აზრის არგუმენტირებულად დასაბუთების უნარს. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

დავალების ნიმუშები იხილეთ 2014 წლის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდის ტესტში.

დავალების IV ტიპი:

- **ნაშრომის შეფასება**

დავალების აღწერა – მოცემულია მოსწავლეების მიერ შესრულებული დავალების ნიმუშები. დავალების კითხვებს ახლავს შეფასების სქემა (შესაძლებელია დავალების პირობიდან გამომდინარე აპლიკანტს თავად მოუხდეს შეფასების სქემის შედგენა). აპლიკანტი ყურადღებით უნდა გაეცნოს მოცემული დავალების ნიმუშს, მოსწავლეების მიერ გაცემულ პასუხებს და შეაფასოს შესაბამისი შეფასების სქემის მიხედვით. ეს დავალება მეთოდური ხასიათისაა, რამდენადაც დავალებაში პედაგოგი ამჟღავნებს სასწავლო პროცესში შეფასების კომპონენტის ადეკვატურად ფლობის უნარს (იგი გარკვეული კრიტერიუმების გამოყენებით აფასებს მოსწავლის პასუხს).

მოცემული დავალება - ამოწმებს პედაგოგის მიერ მოსწავლის შეფასების უნარს. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

ნიმუში იხილეთ 2014 წლის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდის ტესტში.

დავალების V ტიპი

- **სადისკუსიო თემის განსაზღვრა**

დავალების აღწერა - დავალებაში მოცემული სხვადასხვა ტიპის სასწავლო რესურსის (რუკა, სურათი, ნახაზი, გრაფიკი და ა.შ.) გამოყენებით, პედაგოგმა უნდა განსაზღვროს სადისკუსიო თემა; შეძლოს ამ თემასთან დაკავშირებით სხვადასხვა არგუმენტების ჩამოყალიბება და მათ გარშემო მსჯელობა.

დავალება ამოწმებს - სასწავლო პროცესის წარმართვის უნარს. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

ნიმუში იხილეთ 2014 წლის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდის ტესტში.

დავალების VI ტიპი

- **გაკვეთილის ან გაკვეთილების ციკლის (თემის) დაგეგმვა**

დავალების აღწერა – დავალების მიზანია აპლიკანტის მიერ გაკვეთილის ან გაკვეთილების ციკლის გეგმის შედგენა. კერძოდ, გაკვეთილის მიზნების განსაზღვრა, რომლის მიღწევასაც გეგმავს გაკვეთილზე, წინაპირობების (რისი ცოდნა და უნარები მოეთხოვება მოსწავლეს), რესურსების (რა რესურსებია საჭირო ამა თუ იმ გაკვეთილის ჩატარებისას) და აქტივობების (რა კონკრეტული აქტივობები უნდა დაიგეგმოს გაკვეთილზე მიზნის მისაღწევად) განსაზღვრა.

პედაგოგმა უნდა შეძლოს გაკვეთილის ეტაპების (გაკვეთილის მთავარი თემა, სწავლების საფეხური, გაკვეთილის მიზანი, წინასწარი ცოდნა, სასწავლო მასალა და რესურსები, გაკვეთილის მსვლელობა/აქტივობები და მათი ორგანიზების ფორმები და სხვ.) დაგეგმვა კონკრეტულ მასალაზე დაყრდნობით. შესაძლოა, პედაგოგს დაევალოს გაკვეთილის დაგეგმვის მხოლოდ ერთი ან ორი კომპონენტის შესრულება (მაგალითად, გაკვეთილზე გამოყენებული აქტივობის ფორმები).

შესაძლოა, პედაგოგს დაევალოს უკვე დაგეგმილ გაკვეთილში ან გაკვეთილების ციკლში ხარვეზების აღმოჩენა, გასწორება ან გარკვეული ტიპის კორექტირება და რეკომენდაციების მიცემა. მოცემული დავალება მეთოდური ხასიათისაა.

დავალება ამოწმებს მნიშვნელოვან პედაგოგიურ უნარს, გაკვეთილის დაგეგმვასა და ადეკვატურ ორგანიზებას. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.


ნიმუში იხილეთ 2014 წლის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდის ტესტში.

• კითხვა არჩევითი პასუხებით

ინსტრუქცია


თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენ მიერ არჩეული პასუხის სწორად მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცლის სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

1. რომელი თემის ახსნისას არის ყველაზე მეტად მიზანშეწონილი მოცემული რესურსის გამოყენება?



- ა. წყლის ბრუნვა ბუნებაში;
- ბ. მდინარის სისტემა;
- გ. ეროზიული პროცესები;
- დ. აბრაზიული პროცესები.

2. რისი სქემატური გამოსახულებაა ილუსტრაციაზე?



- ა. წყალქვეშა მიწისძვრის;
- ბ. ლითოსფეროს ვერტიკალური რყევის;
- გ. ოკეანური დინებების ფორმირების;
- დ. ტალღების მოძრაობის.

3. რომელი დავალებაა ყველაზე მეტად ორიენტირებული გაგების სააზროვნო უნარის განვითარებაზე?

- ა. არსებული სქემის მიხედვით შეიმუშავეთ გარემოზე ზემოქმედების ძირითადი კრიტერიუმები;
- ბ. საკუთარი სიტყვებით განმარტეთ მიწისძვრის ეპიცენტრისა და მიწისძვრის კერის ცნებები;
- გ. ტექსტის მიხედვით განსაზღვრეთ ორი კლიმატური სარტყლის სამი განმასხვავებელი ნიშანი;
- დ. მსოფლიოს მოსახლეობის სიმჭიდროვის რუკის მიხედვით შეადგინეთ ცალკეული კონტინენტების მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვის ამსახველი ცხრილი.

4. რომელი რუკის საშუალებით შეიძლება ყველაზე დეტალური ინფორმაციის მიღება კონკრეტული ადგილის რელიეფის შესახებ?
- ფიზიკური;
 - კლიმატური;
 - ტოპოგრაფიული;
 - გეოლოგიური.
5. ჩამოთვლილთაგან რა ახდენს ყველაზე ნაკლებ გავლენას ქალაქის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე?
- მეტროპოლიტენის ექსპლუატაცია;
 - ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვი;
 - გამწვანებული ტერიტორიების ფართობი;
 - ფაბრიკა-ქარხნების ექსპლუატაცია.
6. რომელია მართებული მსჯელობა?
- ზოგადად ახალშობილებში გოგონების რაოდენობა ჭარბობს ვაჟებისას;
 - განვითარებულ ქვეყნებში ქალებისა და მამაკაცების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა თანაბარია;
 - მოსახლეობის სქესობრივი სტრუქტურა ცალკეული ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით არ იცვლება;
 - მსოფლიოში ყოველწლიურად ემიგრანტებისა და იმიგრანტების რაოდენობა თანაბარია.
7. რომელ სახელმწიფოს შეესაბამება ცხრილში მოცემული მონაცემები?
- | | |
|--|---------------------------|
| მშპ ერთ სულ მოსახლეზე | 43 042 \$ (აშშ დოლარი) |
| ჰუმანური განვითარების ინდექსი | 0,9623 |
| მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე | 3.02 კაცი/კმ ² |
| სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა კაცი/ქალი | 78/82 |
- აშშ-ის;
 - რუსეთის;
 - შვეიცარიის;
 - ავსტრალიის.
8. მოსწავლეს კონტურულ რუკაზე უნდა დაეტანა საქართველოს ოთხი ქალაქი. მან შეარჩია ქვემოთ ჩამოთვლილი დასახლებული პუნქტები. რომელია არასწორად შერჩეული?
- ონი;
 - ახალციხე;
 - სტეფანწმინდა;
 - ქობულეთი.
9. რომელი სახელმწიფო გაჩნდა პოლიტიკურ რუკაზე უფრო გვიან?
- სლოვენია;
 - ხორვატია;
 - მონტენეგრო;
 - ბოსნია და ჰერცეგოვინა.
10. რომელია მოსახლეობის რაოდენობით უდიდესი ესპანურენოვანი ქალაქი?
- ბუენოს-აირესი;
 - მეხიკო;
 - რიო-დე-ჟანეირო;
 - მადრიდი.


11. რომელ ბუნებრივ რესურსს გააჩნია საქართველოსთვის უფრო დიდი საექსპორტო პოტენციალი?

- ა. ჰიდროს;
- ბ. ნავთობს;
- გ. ქვანახშირს;
- დ. კირქვას.

12. მსოფლიო ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანი რომელი რესურსი არ არის BRICS-ის (ბრაზილიის, რუსეთის, ინდოეთის, ჩინეთისა და სარ-ის გაერთიანება) უპირატესობა?

- ა. იაფი მუშახელი;
- ბ. მინერალური რესურსები;
- გ. მაღალი ტექნოლოგიები;
- დ. სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია.

13. რა არის გამუქებული მოცემულ რუკაზე?



- ა. მუსონების გავრცელების არეალი;
- ბ. წყნარი ოკეანის ცეცხლოვანი რკალი;
- გ. უბველესი მთათა სისტემების გავრცელების არეალი;
- დ. მსოფლიოს ყველაზე მჭიდროდ დასახლებული არეალი.

14. რომელი მცენარეა ჩრდილოეთ ამერიკის ენდემი?

- ა. ბაობაბი;
- ბ. ეკალიპტი;
- გ. კედარი;
- დ. სექვოია.

15. ატმოსფეროს რომელ ფენაში ყალიბდება ამინდი?


- ა. ტროპოსფეროში;
- ბ. სტრატოსფეროში;
- გ. მეზოსფეროში;
- დ. თერმოსფეროში.

16. წელიწადში რამდენჯერ არის მზე ზენიტში ს. გ. 15⁰-ზე?
ა. ერთხელ;
ბ. ორჯერ;
გ. სამჯერ;
დ. ოთხჯერ.
17. რომელ ქვეყანას აქვს მშპ-ის მაჩვენებელი უფრო მაღალი?
ა. გაერთიანებულ სამეფოს;
ბ. ბრაზილიას;
გ. ჩინეთს;
დ. გერმანიას.
18. რომელი მტკიცებულებაა მართებული როგორც აჭარისათვის, ასევე გურიისათვის?
ა. მხოლოდ შავი ზღვის აუზის მდინარეები გაედინება;
ბ. მწვერვალების სიმაღლეები ზ. დ. 3000 მ-ს არ აღემატება;
გ. მხოლოდ საზღვაო კურორტებია;
დ. დაცული ტერიტორიის კატეგორიებიდან მხოლოდ ეროვნული პარკებია.
19. ყველაზე მეტად რომელი მდინარე ხასიათდება ზაფხულის წყალდიდობით?
ა. მტკვარი;
ბ. ალგეთი;
გ. ფოცხოვი;
დ. ენგური.
20. რომელ სახელმწიფოშია მოსახლეობის უფრო მაღალი მექანიკური მატება?
ა. სირიაში;
ბ. ჩრდ. კორეაში;
გ. საფრანგეთში;
დ. ლიტვაში.
21. რომელ აირს შეაქვს ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი დედამიწის ატმოსფეროს ე.წ. „სათბურის ეფექტში“?
ა. წყლის ორთქლს;
ბ. მეთანს;
გ. ოზონს;
დ. ნახშირორჟანგს.
22. ძირითადად რომელ კლიმატურ სარტყელში მდებარეობს სამხრეთი ევროპა?
ა. სუბტროპიკულში;
ბ. ზომიერში;
გ. ეკვატორულში;
დ. ტროპიკულში.

23. რომელი ბუნებრივი ზონა არ გვხვდება სამხრეთ ნახევარსფეროში?

- ა. ტაიგა;
- ბ. ეკვატორული ტყე;
- გ. პამპა;
- დ. სავანა.

24. მოცემული რუკიდან გამომდინარე რეალურად რამდენ სასაათო ზოლში მდებარეობს ჩინეთის ტერიტორია?










- ა. 2
- ბ. 3
- გ. 4
- დ. 5

• შესაბამისობის დადგენა







ინსტრუქცია

დაადგინეთ დავალებაში მოცემულ ორ სვეტს შორის შესაბამისობა. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელში მოცემულ ცხრილში, თითოეულ ასოს ქვემოთ მიუწერეთ შესაბამისი ციფრი. დავალების მაქსიმალური ქულაა - 2.

25. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამოვლენა არ არის შესაძლებელი):

	სახელმწიფოს კონტური		სახელმწიფო
ა		1	ფილიპინები
ბ		2	იაპონია
გ		3	კუბა
დ		4	ახალი ზელანდია
ე		5	შრი-ლანკა
ვ		6	მადაგასკარი
ზ		7	ინდონეზია

26. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება არ არის შესაძლებელი):

	გეოგრაფიული ობიექტი		სახელწოდება
ა		1	ბარიერული რიფი
ბ		2	ატოლი
გ		3	ფიორდი
დ		4	ფრიალო ნაპირი
ე		5	დელტა
ვ		6	რიასი

27. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება არ არის შესაძლებელი):

	ღირსშესანიშნაობა		ქალაქი
ა	„ლუქსემბურგის ბაღი“	1	მადრიდი
ბ	„პრადოს“ მუზეუმი	2	მილანი
გ	„კორკოვადოს“ მთა	3	პარიზი
დ	„ვესტმინსტერის სააბატო“	4	აგრა
ე	„ლა-სკალას“ ოპერის თეატრი	5	ბერლინი
ვ	„თაჯ-მაჰალის“ მავზოლეუმი	6	რიო-დე-ჟანეირო
ზ	„ბრანდენბურგის ჭიშკარი“	7	ლონდონი

28. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება შესაძლებელია):

	მაჩვენებელი		სფერო
ა	მოსახლეობის აღწარმოების ტიპი	1	ეკონომიკა
ბ	ქვეყნის მოსახლეობაში წერა-კითხვის მცოდნეთა წილი	2	პოლიტიკა
გ	ქვეყნის მშპ-ის მოცულობა	3	სოციალური
დ	ქვეყანაში საელჩოების რაოდენობა	4	დემოგრაფია
ე	სამხედრო კონტინგენტის არსებობა უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე		
ვ	მიგრაციული სალდო		
ზ	ქვეყანაში ინფლაციის მაჩვენებელი		

29. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება შესაძლებელია):

	ოკეანური დინება		ოკეანე
ა	ბენგელის	1	ატლანტის
ბ	პერუს	2	ინდოეთის
გ	დასავლეთ ავსტრალიური	3	ჩრდილოეთის ყინულოვანი
დ	კალიფორნიის	4	წყნარი
ე	გოლფსტრიმის		
ვ	იამალის		
ზ	სომალის		

30. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება შესაძლებელია):

	კუნძული		სახელმწიფო
ა	სიცილია	1	საფრანგეთი
ბ	კორსიკა	2	იტალია
გ	გრენლანდია	3	დანია
დ	სარდინია	4	საბერძნეთი
ე	კრეტა		
ვ	ზელანდია		
ზ	როდოსი		


31. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება შესაძლებელია):

	დასახლებული პუნქტი		რეგიონი
ა	სადახლო	1	სამცხე-ჯავახეთი
ბ	შატილი	2	ქვემო ქართლი
გ	ერის იმედი	3	კახეთი
დ	ვალე	4	მცხეთა-მთიანეთი
ე	ზარზმა		
ვ	საბათლო		

32. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება არ არის შესაძლებელი):






	ტერმინი		ტერმინის განმარტება
ა	ტროგი	1	სიმაღლე ზღ.დ., რომლის ზემოთ მყარი ატმოსფერული ნალექების დაგროვება ჭარბობს დნობას და აორთქლებას
ბ	მორენა	2	მყინვარის ეგზარაციული მოქმედებით გარდაქმნილი ხეობა
გ	თოვლის ხაზი	3	მყინვარის მიერ გადატანილი და დაგროვებული ნაშალი მასალა
დ	მყინვარის ცირკი	4	მყინვარის კვების არე
		5	მყინვარის შედარებით ვიწრო ქვედა ნაწილი, რომელიც თოვლის საზღვრის ქვემოთ მდებარეობს
		6	მთებში არსებული ამფითეატრისებრი ქვაბული (ჩადაბლება), რომელიც კეტავს მყინვარული ხეობის ზედა ნაწილს

33. მოცემული ილუსტრაციის გამოყენებით დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება არ არის შესაძლებელი)



	გეოგრაფიული ობიექტი		ილუსტრაციაზე გეოგრაფიული ობიექტის აღმნიშვნელი ციფრი
ა	შუაოკეანური ქედი	1	1
ბ	ოკეანის კალაპოტი	2	2
გ	კონტინენტური კალთა	3	3
		4	4
		5	5
		6	6

34. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება არ არის შესაძლებელი):

	ატმოსფეროს ფენები	ატმოსფეროს სტრუქტურა
ა	მეზოსფერო	<p>10 000 კმ</p> <p>1</p> 
ბ	სტრატოსფერო	<p>690 კმ</p> <p>2</p>  <p>კოსმოსური ხომალდი</p> <p>პოლარული გამოსხივება</p> <p>100 კმ (კარტმანის ხაზი)</p>
გ	ეგზოსფერო	<p>85 კმ</p> <p>3</p>  <p>მეტეორები</p>
		<p>50 კმ</p> <p>4</p>  <p>მეტეოზონდი</p>
		<p>6 - 20 კმ</p> <p>5</p>  <p>ევერესტი</p>

• რუკის ანალიზი

ინსტრუქცია

ყურადღებით შეისწავლეთ მოცემული ტოპოგრაფიული რუკა და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილზე. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

35. (6) დააკვირდით რუკას და უპასუხეთ კითხვებს:

35.1. რომელი დასახლებული პუნქტი მდებარეობს სოფ. ჯინისიდან დაახლოებით 290° აზიმუტით?

- ა. ავრანლო;
- ბ. გუმბათი;
- გ. ღარაქოი;
- დ. ყიზილქილისა.


35.2. დაახლოებით რამდენი მეტრია C წერტილის აბსოლუტური სიმაღლე?

- ა. 1653.5 მ.
- ბ. 1678.5 მ.
- გ. 1682.5 მ.
- დ. 1695.5 მ.

35.3. (1) დაახლოებით რა მანძილია A და B წერტილებს შორის? (აუცილებლად მიუთითეთ ერთეული).

35.4. (1) რა მიანიშნებს რუკაზე მოცემული ტერიტორიის მოსახლეობის ეთნიკურ მრავალფეროვნებაზე?

35.5. (2) დაასაბუთეთ, რუკაზე აღნიშნული A წერტილიდან რომელი წერტილების (B, C, D, E) დანახვაა შეუძლებელი?



• **ნაშრომის შეფასება**

ინსტრუქცია

მოცემულია მასწავლებლის მიერ შედგენილი დავალება და მოსწავლის პასუხი. შეადგინეთ მასწავლებლის მიერ მომზადებული დავალებისათვის შეფასების სქემა და შეაფასეთ მოსწავლის ნამუშევარი. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილზე. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

36. (5) მოსწავლემ შეასრულა ქვემოთ მოცემული დავალება. გაეცანით მას და უპასუხეთ კითხვებს:

მასწავლებლის მიერ შედგენილი დავალება:

მოსწავლეებს დაურიგდათ ტექსტი ბუნებრივი ზონების შესახებ, რომლის მიხედვითაც მათ უნდა ეპასუხათ თანდართული კითხვებისათვის.

კითხვები:

I. რომელი ბუნებრივი ზონაა ყველაზე ხელსაყრელი მარცვლოვანი კულტურების მოსაყვანად?

- ა. ტუნდრის;
- ბ. სტეპის;
- გ. სავანის;
- დ. უდაბნოს.

II. აღწერეთ, რა პრინციპული განსხვავებაა დედამიწაზე არსებულ განედურ და ვერტიკალურ გეოგრაფიულ ზონალურობას შორის?

III. დაასრულეთ ცხრილი:

ბუნებრივი ზონის სახელწოდება	სტეპი	პრერია	ჰამპა
კონტინენტი, რომელზეც ასე უწოდებენ ამ ზონას	აზია		

IV. ტექსტიდან გამომდინარე, იპოვეთ თითო განსხვავება ტენიანი ტროპიკული ტყეებისა და სავანების ფლორასა და ფაუნაში.

მოსწავლის პასუხი:

I. გ.

II. მათ შორის პრინციპული განსხვავება არ არის, რადგან როგორც განედურ, ასევე ვერტიკალურ ზონალურობას განაპირობებს მზის რადიაცია და მზის სხივის დაცემის კუთხე.

III.

ბუნებრივი ზონის სახელწოდება	სტეპი	პრერია	ჰამპა
კონტინენტი, რომელზეც ასე უწოდებენ ამ ზონას	აზია	ამერიკა	აფრიკა

IV. განსხვავება ფლორაში: სავანაში ძირითადად ბალახოვანი მცენარეებია, ტროპიკულ ტყეებში კი - ხემცენარეები;

განსხვავება ფაუნაში: სავანებში სახეობრივი მრავალფეროვნებით უფრო მეტად მსხვილი ძუძუმწოვრები გამოირჩევიან, ტროპიკულ ტყეებში კი - მწერები და ობობები.

თქვენი დავალების კითხვები:

36.1. (2) მოსწავლის დავალება ჯამში უნდა შეაფასოთ 6 ქულით! გადაანაწილეთ ჯამური 6 ქულა დავალებაში მოცემულ ოთხ კითხვაზე და ახსენით თქვენი არჩევანი (მიუთითეთ, რატომ ანიჭებთ კონკრეტულ კითხვას თქვენ მიერ შერჩეულ ქულას).

36.2. (1) თქვენ მიერ შემუშავებული შეფასების სქემის მიხედვით მიანიჭეთ მოსწავლის პასუხს განმსაზღვრელი შეფასება (შეაფასეთ ქულით).

36.3. (2) დაუწერეთ მოსწავლეს განმავითარებელი შეფასება (პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ა და ბ გრაფებში):

- ა) - ახსენით, რა შეცდომა დაუშვა მოსწავლემ და რატომ დაიმსახურა მან თქვენ მიერ მინიჭებული ქულა;
- ბ) - ახსენით, რა შემთხვევაში მიიღებდა იგი მაქსიმალურ ქულას.

• სადისკუსიო თემის განსაზღვრა

ინსტრუქცია

დავალებაში მოცემულია სასწავლო რესურსი (ფოტოები). მათი გამოყენებით განსაზღვრეთ სადისკუსიო თემა და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილზე. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

37. (8) ხუთი ფოტოსგან შემდგარი სასწავლო რესურსის საფუძველზე უპასუხეთ კითხვებს:

1. პარიზი - ლუვრი

2. ნატოს სამიტი



3. კომპანია „ეპლი“-ს ქარხანა ჩინეთში

4. რესტორანი „მაკდონალდსი“ თბილისში



5. ლონდონში მცხოვრები ინდოელების მანიფესტაცია



37.1. (1) თქვენი მიზანია მოსწავლეებს გამოუმუშაოთ არგუმენტირებული მსჯელობის უნარი. მოცემული რესურსის საფუძველზე განსაზღვრეთ სადისკუსიო თემა, რომელიც უნდა ეხებოდეს გლობალიზაციის საკითხს. თემა უნდა მოიცავდეს ხუთივე ფოტოს.

37.2. (5) ახსენით რა კავშირშია მოცემული ფოტოები თქვენ მიერ შერჩეულ სადისკუსიო თემასთან (შეავსეთ პასუხების ფურცელში მოცემული შესაბამისი ცხრილი).

37.3. (2) რესურსში მოცემული სამი - N3, N4 ან N5 ფოტოდან აირჩიეთ ერთ-ერთი; თქვენ მიერ შერჩეული სადისკუსიო თემიდან გამომდინარე, მოიყვანეთ გლობალიზაციის მომხრეებისა და მოწინააღმდეგეების თითო-თითო არგუმენტი (შეავსეთ პასუხების ფურცელში მოცემული შესაბამისი ცხრილი).

- გაკვეთილის დაგეგმვა
-

ინსტრუქცია

მოცემულია მასწავლებლის მიერ შედგენილი გაკვეთილის გეგმა. ყურადღებით გაეცანით მას და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილზე. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

38. (7) ყურადღებით გაეცანით გაკვეთილის გეგმას და უპასუხეთ კითხვებს:

საგანი	გეოგრაფია
კლასი	VII
გაკვეთილის თემა	ვულკანიზმი
მიმართულება ესგ ¹ საგნობრივი სტანდარტიდან	გარემო და ეკონომიკა
მისაღწევი შედეგი ესგ საგნობრივი სტანდარტიდან	გეო.VII.5. მოსაწვლეს შეუძლია მსჯელობა დედამიწის შინაგან აგებულებაზე
მისაღწევი შედეგის ინდიკატორი ესგ საგნობრივი სტანდარტიდან	<ul style="list-style-type: none"> • ხსნის მიწისძვრებისა და ვულკანების გავრცელების კანონზომიერებებს; • კონტურულ რუკაზე დააქვს მიწისძვრებისა და ვულკანების გავრცელების ძირითადი არეალები.
სასწავლო მიზანი	<ol style="list-style-type: none"> 1) ვულკანების გავრცელების ძირითადი არეალებისა და კანონზომიერებების დადგენა; 2) სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში სიტუაციების შეფასება. 3) მსჯელობისა და ანალიზის უნარის გამოიმუშავება;

¹ ესგ - ეროვნული სასწავლო გეგმა.

	<p>4) თანამშრომლობის უნარის გამომუშავება;</p> <p>5) კონტურულ რუკაზე მუშაობის უნარის გამომუშავება.</p>
სასწავლო რესურსი	<ul style="list-style-type: none"> • ინტერნეტ რესურსი (წინასწარ მოძიებული ფოტოები და ვიდეომასალა); • კომპიუტერები (კომპიუტერული კლასი), ინტერნეტი, პროექტორი; • მსოფლიოს ფიზიკური რუკა, სასკოლო სახელმძღვანელო; • მარკერები, კალმები და თაბახის ფურცლები.
აქტივობა	<ol style="list-style-type: none"> 1) გონებრივი იერიში; 2) სახელმძღვანელოს ტექსტზე დამოუკიდებელი (ინდივიდუალური) მუშაობა; 3) ვულკანიზმთან დაკავშირებული 10 წუთიანი საგანმანათლებლო ვიდეოფილმის ჩვენება; 4) საკლასო სამუშაოს შესრულება - მოსწავლეების მიერ ინდივიდუალურად შესასრულებელი დავალება: <ul style="list-style-type: none"> • ინტერნეტის გამოყენებით მოიძიეთ ნებისმიერ ორ მოქმედ და ერთ ჩამქრალ ვულკანზე ინფორმაცია (ინფორმაცია წარმოადგინეთ 2-3 წინადადებით); • განსაზღვრეთ თქვენ მიერ შერჩეული ვულკანების გეოგრაფიული მდებარეობები და დაიტანეთ ინდივიდუალურ კონტურულ რუკაზე. 5) გაკვეთილის შეჯამება - მოსწავლეებს შერჩეული ვულკანები დააქვთ დაფაზე განთავსებულ მსოფლიოს დიდ კონტურულ რუკაზე, რომელზეც მასწავლებლის მიერ დატანილია ლითოსფერული ფილების საზღვრები. მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით მსჯელობენ ვულკანების გავრცელების კანონზომიერებაზე.

38.1. მოცემული გაკვეთილის პროცესში რომელი სიტუაცია ჩაითვლება მოსწავლეთა გარეგან მოტივაციად?

- ა. მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოს მოსახლეობისათვის ვულკანების შესახებ ინფორმაციის ცოდნა;
- ბ. მასწავლებელი აჩვენებს ვიდეორგოლს ვულკანის ამოფრქვევის შესახებ, რათა მოსწავლეებმა უკეთ აღიქვან იგი, როგორც კატასტროფული მოვლენა;
- გ. საკლასო სამუშაოს შესრულების შემდეგ მასწავლებელი წარმატებულ მოსწავლეს მცინვარწვერის ფოტოთი აჯილდოვებს;
- დ. მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს დავალებას, მოიძიონ ინფორმაცია მხოლოდ იმ ვულკანების შესახებ, რომლითაც თავად დაინტერესდებიან.

38.2. რომელი სააზროვნო უნარის გამომუშავებას უწყობს ხელს გაკვეთილზე ჩატარებული აქტივობა: „თქვენ მიერ შერჩეული ვულკანები დაიტანეთ კონტურულ რუკაზე“?

- ა. გაგება;
- ბ. გამოყენება;
- გ. ანალიზი;
- დ. შეფასება.

38.3.(1) რომელი სასწავლო რესურსის დამატება იქნება საჭირო გაკვეთილზე მე-4 აქტივობის შესასრულებლად?

- 38.4. (1) რომელი სასწავლო მიზანი დარჩება მიულწეველი მოცემული გაკვეთილის გეგმის მიხედვით?
- 38.5. (1) დაასაბუთეთ, რომელ აქტივობას დაუთმობდით ყველაზე მეტ დროს საგაკვეთილო პროცესში?
- 38.6. (1) რა დამატებით აქტივობას შესთავაზებთ იმ მოსწავლეებს, რომლებიც ადრე დაასრულებენ სამუშაოს?
- 38.7. (1) დაასაბუთეთ, რა კომპონენტი აკლია მოცემული გაკვეთილის გეგმას?

დავალეზა №	გეოგრაფია პედაგოგები MAX 70	ქულა														
1	ა	1														
2	დ	1														
3	ბ	1														
4	გ	1														
5	ა	1														
6	დ	1														
7	დ	1														
8	გ	1														
9	გ	1														
10	ბ	1														
11	ა	1														
12	გ	1														
13	ბ	1														
14	დ	1														
15	ა	1														
16	ბ	1														
17	გ	1														
18	ბ	1														
19	დ	1														
20	გ	1														
21	ა	1														
22	ა	1														
23	ა	1														
24	დ	1														
25	<p><u>შეფასების სქემა:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • 0, 1 ან 2 შესაბამისობის დადგენა - 0 ქულა; • 3, 4 ან 5 შესაბამისობის დადგენა - 1 ქულა; • 6 ან 7 შესაბამისობის დადგენა - 2 ქულა. <table border="1" data-bbox="370 1528 769 1612"> <tr><td>ა</td><td>ბ</td><td>გ</td><td>დ</td><td>ე</td><td>ვ</td><td>ზ</td></tr> <tr><td>3</td><td>7</td><td>1</td><td>6</td><td>4</td><td>2</td><td>5</td></tr> </table>	ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	3	7	1	6	4	2	5	2
ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ										
3	7	1	6	4	2	5										
26	<p><u>შეფასების სქემა:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • 0, 1 ან 2 შესაბამისობის დადგენა - 0 ქულა; • 3 ან 4 შესაბამისობის დადგენა - 1 ქულა; • 5 ან 6 შესაბამისობის დადგენა - 2 ქულა. <table border="1" data-bbox="383 1801 734 1881"> <tr><td>ა</td><td>ბ</td><td>გ</td><td>დ</td><td>ე</td><td>ვ</td></tr> <tr><td>5</td><td>6</td><td>1</td><td>3</td><td>4</td><td>2</td></tr> </table>	ა	ბ	გ	დ	ე	ვ	5	6	1	3	4	2	2		
ა	ბ	გ	დ	ე	ვ											
5	6	1	3	4	2											

დავალეზა №	გეოგრაფია პედაგოგები MAX 70	ქულა														
27	<p><u>შეფასების სქემა:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • 0, 1 ან 2 შესაბამისობის დადგენა - 0 ქულა; • 3, 4 ან 5 შესაბამისობის დადგენა - 1 ქულა; • 6 ან 7 შესაბამისობის დადგენა - 2 ქულა. <table border="1" data-bbox="370 430 769 510"> <tr> <td>ა</td><td>ბ</td><td>გ</td><td>დ</td><td>ე</td><td>ვ</td><td>ზ</td> </tr> <tr> <td>3</td><td>1</td><td>6</td><td>7</td><td>2</td><td>4</td><td>5</td> </tr> </table>	ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	3	1	6	7	2	4	5	2
ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ										
3	1	6	7	2	4	5										
28	<table border="1" data-bbox="370 550 769 634"> <tr> <td>ა</td><td>ბ</td><td>გ</td><td>დ</td><td>ე</td><td>ვ</td><td>ზ</td> </tr> <tr> <td>4</td><td>3</td><td>1</td><td>2</td><td>2</td><td>4</td><td>1</td> </tr> </table>	ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	4	3	1	2	2	4	1	2
ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ										
4	3	1	2	2	4	1										
29	<table border="1" data-bbox="375 695 784 779"> <tr> <td>ა</td><td>ბ</td><td>გ</td><td>დ</td><td>ე</td><td>ვ</td><td>ზ</td> </tr> <tr> <td>1</td><td>4</td><td>2</td><td>4</td><td>1</td><td>3</td><td>2</td> </tr> </table>	ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	1	4	2	4	1	3	2	2
ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ										
1	4	2	4	1	3	2										
30	<table border="1" data-bbox="383 816 792 898"> <tr> <td>ა</td><td>ბ</td><td>გ</td><td>დ</td><td>ე</td><td>ვ</td><td>ზ</td> </tr> <tr> <td>2</td><td>1</td><td>3</td><td>2</td><td>4</td><td>3</td><td>4</td> </tr> </table>	ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	2	1	3	2	4	3	4	2
ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ										
2	1	3	2	4	3	4										
31	<p><u>შეფასების სქემა:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • 0, 1 ან 2 შესაბამისობის დადგენა - 0 ქულა; • 3 ან 4 შესაბამისობის დადგენა - 1 ქულა; • 5 ან 6 შესაბამისობის დადგენა - 2 ქულა. <table border="1" data-bbox="370 1092 712 1171"> <tr> <td>ა</td><td>ბ</td><td>გ</td><td>დ</td><td>ე</td><td>ვ</td> </tr> <tr> <td>2</td><td>4</td><td>3</td><td>1</td><td>1</td><td>3</td> </tr> </table>	ა	ბ	გ	დ	ე	ვ	2	4	3	1	1	3	2		
ა	ბ	გ	დ	ე	ვ											
2	4	3	1	1	3											
32	<p><u>შეფასების სქემა:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • 0 ან 1 შესაბამისობის დადგენა - 0 ქულა; • 2 ან 3 შესაბამისობის დადგენა - 1 ქულა; • 4 შესაბამისობის დადგენა - 2 ქულა. <table border="1" data-bbox="402 1362 644 1444"> <tr> <td>ა</td><td>ბ</td><td>გ</td><td>დ</td> </tr> <tr> <td>2</td><td>3</td><td>1</td><td>6</td> </tr> </table>	ა	ბ	გ	დ	2	3	1	6	2						
ა	ბ	გ	დ													
2	3	1	6													
33	<p><u>შეფასების სქემა:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • 0 ან 1 შესაბამისობის დადგენა - 0 ქულა; • 2 შესაბამისობის დადგენა - 1 ქულა; • 3 შესაბამისობის დადგენა - 2 ქულა. <table border="1" data-bbox="402 1638 586 1717"> <tr> <td>ა</td><td>ბ</td><td>გ</td> </tr> <tr> <td>6</td><td>3</td><td>2</td> </tr> </table>	ა	ბ	გ	6	3	2	2								
ა	ბ	გ														
6	3	2														
34	<table border="1" data-bbox="402 1757 586 1839"> <tr> <td>ა</td><td>ბ</td><td>გ</td> </tr> <tr> <td>3</td><td>4</td><td>1</td> </tr> </table>	ა	ბ	გ	3	4	1	2								
ა	ბ	გ														
3	4	1														
35.1	დ	1														

დავალება №	გეოგრაფია პედაგოგები MAX 70	ქულა								
35.2	ბ	1								
35.3	<p>შეფასების სქემა:</p> <ul style="list-style-type: none"> • არასწორი პასუხი ან პასუხი, რომელსაც არ ახლავს ერთეული ფასდება 0 ქულით; • სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით. <p>სწორი პასუხის ნიმუში: A და B წერტილებს შორის დაახლოებით 2 კილომეტრია ან 2 000 მეტრი.</p>	1								
35.4	<p>შეფასების სქემა:</p> <ul style="list-style-type: none"> • არასწორი არგუმენტი ფასდება 0 ქულით; • მართებული არგუმენტი ფასდება 1 ქულით. <p>სწორი პასუხის ნიმუში: ეთნიკურ მრავალფეროვნებაზე მიგვანიშნებს გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებები.</p>	1								
35.5	<p>შეფასების სქემა:</p> <ul style="list-style-type: none"> • არასწორად დასაბუთებული პასუხი ან სწორად შერჩეული წერტილები დასაბუთების გარეშე ფასდება 0 ქულით; • თითოეული სწორად დასაბუთებული პასუხი ფასდება 1 ქულით. დავალების ჯამური ქულაა - 2. <p>სწორი პასუხის ნიმუში:</p> <ul style="list-style-type: none"> • D წერტილი არ გამოჩნდება, რადგან ტყე ეფარება; • E წერტილი არ გამოჩნდება, რადგან მთა ეფარება. 	2								
36.1	<p>შეფასების სქემა:</p> <ul style="list-style-type: none"> • კითხვების მიხედვით ქულების არაადეკვატური განაწილება - 0 ქულა; • კითხვების მიხედვით ქულების ადეკვატურად განაწილება არგუმენტაციის გარეშე - 1 ქულა; • კითხვების მიხედვით ქულების ადეკვატურად განაწილება, რომელსაც ახლავს მართებული დასაბუთება - 2 ქულა. <p>სწორი პასუხის ნიმუში:</p> <table border="1" data-bbox="248 1325 1398 1829"> <tbody> <tr> <td data-bbox="248 1325 337 1444">I</td> <td data-bbox="337 1325 1398 1444">პირველ კითხვას მივანიჭებ 1 ქულას - რადგან მოსწავლეს არ მოეთხოვება თავისი არჩევანის დასაბუთება, შესაბამისად, სწორად მონიშნულ ბუნებრივ ზონაში დავუწერ 1 ქულას.</td> </tr> <tr> <td data-bbox="248 1444 337 1564">II</td> <td data-bbox="337 1444 1398 1564">მეორე კითხვას ასევე მივანიჭებ 1 ქულას - რადგან აქ მოსწავლეს მოეთხოვება მხოლოდ ერთი პრინციპული განსხვავების აღწერა, შესაბამისად, სწორად აღწერილ განსხვავებაში დავუწერ 1 ქულას.</td> </tr> <tr> <td data-bbox="248 1564 337 1684">III</td> <td data-bbox="337 1564 1398 1684">მესამე კითხვას მივანიჭებ 2 ქულას - რადგან აქ მოსწავლეს მოეთხოვება ორი ბუნებრივი ზონისთვის შესაბამისი კონტინენტის მითითება; თითოეული სწორად დასახელებული კონტინენტი შეფასდება 1 ქულით, ჯამში - 2 ქულა.</td> </tr> <tr> <td data-bbox="248 1684 337 1829">IV</td> <td data-bbox="337 1684 1398 1829">მეოთხე კითხვას მივანიჭებ 2 ქულას - რადგან აქ მოსწავლეს მოეთხოვება ორი ბუნებრივი ზონისათვის მოძებნოს განსხვავება ორი კრიტერიუმის მიხედვით, შესაბამისად, ფლორისა და ფაუნისათვის მოყვანილ სწორ განსხვავებაში დავუწერ 1-1 ქულას, ჯამში - 2 ქულას.</td> </tr> </tbody> </table>	I	პირველ კითხვას მივანიჭებ 1 ქულას - რადგან მოსწავლეს არ მოეთხოვება თავისი არჩევანის დასაბუთება, შესაბამისად, სწორად მონიშნულ ბუნებრივ ზონაში დავუწერ 1 ქულას.	II	მეორე კითხვას ასევე მივანიჭებ 1 ქულას - რადგან აქ მოსწავლეს მოეთხოვება მხოლოდ ერთი პრინციპული განსხვავების აღწერა, შესაბამისად, სწორად აღწერილ განსხვავებაში დავუწერ 1 ქულას.	III	მესამე კითხვას მივანიჭებ 2 ქულას - რადგან აქ მოსწავლეს მოეთხოვება ორი ბუნებრივი ზონისთვის შესაბამისი კონტინენტის მითითება; თითოეული სწორად დასახელებული კონტინენტი შეფასდება 1 ქულით, ჯამში - 2 ქულა.	IV	მეოთხე კითხვას მივანიჭებ 2 ქულას - რადგან აქ მოსწავლეს მოეთხოვება ორი ბუნებრივი ზონისათვის მოძებნოს განსხვავება ორი კრიტერიუმის მიხედვით, შესაბამისად, ფლორისა და ფაუნისათვის მოყვანილ სწორ განსხვავებაში დავუწერ 1-1 ქულას, ჯამში - 2 ქულას.	2
I	პირველ კითხვას მივანიჭებ 1 ქულას - რადგან მოსწავლეს არ მოეთხოვება თავისი არჩევანის დასაბუთება, შესაბამისად, სწორად მონიშნულ ბუნებრივ ზონაში დავუწერ 1 ქულას.									
II	მეორე კითხვას ასევე მივანიჭებ 1 ქულას - რადგან აქ მოსწავლეს მოეთხოვება მხოლოდ ერთი პრინციპული განსხვავების აღწერა, შესაბამისად, სწორად აღწერილ განსხვავებაში დავუწერ 1 ქულას.									
III	მესამე კითხვას მივანიჭებ 2 ქულას - რადგან აქ მოსწავლეს მოეთხოვება ორი ბუნებრივი ზონისთვის შესაბამისი კონტინენტის მითითება; თითოეული სწორად დასახელებული კონტინენტი შეფასდება 1 ქულით, ჯამში - 2 ქულა.									
IV	მეოთხე კითხვას მივანიჭებ 2 ქულას - რადგან აქ მოსწავლეს მოეთხოვება ორი ბუნებრივი ზონისათვის მოძებნოს განსხვავება ორი კრიტერიუმის მიხედვით, შესაბამისად, ფლორისა და ფაუნისათვის მოყვანილ სწორ განსხვავებაში დავუწერ 1-1 ქულას, ჯამში - 2 ქულას.									

დავალება №	გეოგრაფია პედაგოგები MAX 70	ქულა				
36.2	<p>შეფასების სქემა:</p> <ul style="list-style-type: none"> • არაადეკვატური განმსაზღვრელი შეფასება - 0 ქულა; • აპლიკანტის მიერ შემუშავებული სქემის მიხედვით მოსწავლის ადეკვატური განმსაზღვრელი შეფასება - 1 ქულა. <p>სწორი პასუხის ნიმუში: მოსწავლის პასუხს შევამოებ 2 ქულით.</p>	1				
36.3	<p>შეფასების სქემა:</p> <ul style="list-style-type: none"> • არაადეკვატური განმავითარებელი შეფასება - 0 ქულა; • განმავითარებელი შეფასება, რომელშიც აპლიკანტი მიუთითებს, რატომ მიიღო მოსწავლემ ეს ქულა და მიაჩნის დაშვებულ შეცდომას - 1 ქულა; • განმავითარებელი შეფასება, რომელშიც აპლიკანტი მიუთითებს, რატომ მიიღო მოსწავლემ ეს ქულა, მიაჩნის დაშვებულ შეცდომაზე და განუმარტავს რა შემთხვევაში მიიღებდა მაქსიმალურ ქულას - 2 ქულა. <p>სწორი პასუხის ნიმუში:</p> <table border="1" data-bbox="246 772 1414 1738"> <tr> <td data-bbox="246 772 349 1125">ა)</td> <td data-bbox="349 772 1414 1125"> <p>მოსწავლემ 2 ქულა დაიმსახურა იმიტომ, რომ:</p> <p>I) მოსწავლე შეცდომით ასახელებს ბუნებრივ ზონას, რომელშიც ყველაზე ხელსაყრელია მარცვლოვანი კულტურების მოყვანა;</p> <p>II) მოსწავლე ერთმანეთისგან ვერ ანსხვავებს ვერტიკალურ და განედურ ზონალურობას;</p> <p>III) მოსწავლე არასწორად უთითებს პრერიებისა და პამპას გავრცელების არეალებს;</p> <p>IV) მეოთხე კითხვაში სწორად აღნიშნავს ტენიან ტროპიკულ ტყეებსა და სავანებში ფლორასა და ფაუნას შორის განსხვავებას.</p> </td> </tr> <tr> <td data-bbox="246 1125 349 1738">ბ)</td> <td data-bbox="349 1125 1414 1738"> <p>მოსწავლე მაქსიმალურ შეფასებას მიიღებდა:</p> <p>I) თუ პასუხში სწორად მონიშნავდა მარცვლოვანი კულტურების მოსაყვან ყველაზე ხელსაყრელ ბუნებრივ ზონას. ეს არის სტეპი;</p> <p>II) თუ აღწერდა პრინციპულ განსხვავებას განედურ და ვერტიკალურ გეოგრაფიულ ზონალურობას შორის. სწორი პასუხია: განედური ზონალურობის დროს ბუნებრივი ზონები იცვლება ეკვატორიდან პოლუსებისაკენ, ხოლო ვერტიკალური ზონალურობის დროს ბუნებრივი ზონები იცვლება აბსოლუტური სიმაღლის მატებასთან ერთად.</p> <p>III) თუ პასუხში სწორად მიუთითებდა პრერიისა და პამპას გავრცელების არეალებს. პრერიის შემთხვევაში ამერიკა ძალიან ზოგადი პასუხია, რთულია გარკვევა აშშ-ზე საუბარი, თუ ჩრდ. და სამხ. ამერიკაზე მთლიანობაში, რაც არასწორია. ასევე არასწორია აფრიკაში პრერიების გავრცელებაზე საუბარი. სტეპის ბუნებრივ ზონას ჩრდ. ამერიკაში პრერიებს უწოდებენ, სამხ. ამერიკაში - პამპას.</p> </td> </tr> </table>	ა)	<p>მოსწავლემ 2 ქულა დაიმსახურა იმიტომ, რომ:</p> <p>I) მოსწავლე შეცდომით ასახელებს ბუნებრივ ზონას, რომელშიც ყველაზე ხელსაყრელია მარცვლოვანი კულტურების მოყვანა;</p> <p>II) მოსწავლე ერთმანეთისგან ვერ ანსხვავებს ვერტიკალურ და განედურ ზონალურობას;</p> <p>III) მოსწავლე არასწორად უთითებს პრერიებისა და პამპას გავრცელების არეალებს;</p> <p>IV) მეოთხე კითხვაში სწორად აღნიშნავს ტენიან ტროპიკულ ტყეებსა და სავანებში ფლორასა და ფაუნას შორის განსხვავებას.</p>	ბ)	<p>მოსწავლე მაქსიმალურ შეფასებას მიიღებდა:</p> <p>I) თუ პასუხში სწორად მონიშნავდა მარცვლოვანი კულტურების მოსაყვან ყველაზე ხელსაყრელ ბუნებრივ ზონას. ეს არის სტეპი;</p> <p>II) თუ აღწერდა პრინციპულ განსხვავებას განედურ და ვერტიკალურ გეოგრაფიულ ზონალურობას შორის. სწორი პასუხია: განედური ზონალურობის დროს ბუნებრივი ზონები იცვლება ეკვატორიდან პოლუსებისაკენ, ხოლო ვერტიკალური ზონალურობის დროს ბუნებრივი ზონები იცვლება აბსოლუტური სიმაღლის მატებასთან ერთად.</p> <p>III) თუ პასუხში სწორად მიუთითებდა პრერიისა და პამპას გავრცელების არეალებს. პრერიის შემთხვევაში ამერიკა ძალიან ზოგადი პასუხია, რთულია გარკვევა აშშ-ზე საუბარი, თუ ჩრდ. და სამხ. ამერიკაზე მთლიანობაში, რაც არასწორია. ასევე არასწორია აფრიკაში პრერიების გავრცელებაზე საუბარი. სტეპის ბუნებრივ ზონას ჩრდ. ამერიკაში პრერიებს უწოდებენ, სამხ. ამერიკაში - პამპას.</p>	2
ა)	<p>მოსწავლემ 2 ქულა დაიმსახურა იმიტომ, რომ:</p> <p>I) მოსწავლე შეცდომით ასახელებს ბუნებრივ ზონას, რომელშიც ყველაზე ხელსაყრელია მარცვლოვანი კულტურების მოყვანა;</p> <p>II) მოსწავლე ერთმანეთისგან ვერ ანსხვავებს ვერტიკალურ და განედურ ზონალურობას;</p> <p>III) მოსწავლე არასწორად უთითებს პრერიებისა და პამპას გავრცელების არეალებს;</p> <p>IV) მეოთხე კითხვაში სწორად აღნიშნავს ტენიან ტროპიკულ ტყეებსა და სავანებში ფლორასა და ფაუნას შორის განსხვავებას.</p>					
ბ)	<p>მოსწავლე მაქსიმალურ შეფასებას მიიღებდა:</p> <p>I) თუ პასუხში სწორად მონიშნავდა მარცვლოვანი კულტურების მოსაყვან ყველაზე ხელსაყრელ ბუნებრივ ზონას. ეს არის სტეპი;</p> <p>II) თუ აღწერდა პრინციპულ განსხვავებას განედურ და ვერტიკალურ გეოგრაფიულ ზონალურობას შორის. სწორი პასუხია: განედური ზონალურობის დროს ბუნებრივი ზონები იცვლება ეკვატორიდან პოლუსებისაკენ, ხოლო ვერტიკალური ზონალურობის დროს ბუნებრივი ზონები იცვლება აბსოლუტური სიმაღლის მატებასთან ერთად.</p> <p>III) თუ პასუხში სწორად მიუთითებდა პრერიისა და პამპას გავრცელების არეალებს. პრერიის შემთხვევაში ამერიკა ძალიან ზოგადი პასუხია, რთულია გარკვევა აშშ-ზე საუბარი, თუ ჩრდ. და სამხ. ამერიკაზე მთლიანობაში, რაც არასწორია. ასევე არასწორია აფრიკაში პრერიების გავრცელებაზე საუბარი. სტეპის ბუნებრივ ზონას ჩრდ. ამერიკაში პრერიებს უწოდებენ, სამხ. ამერიკაში - პამპას.</p>					

დავალება №	გეოგრაფია პედაგოგები MAX 70	ქულა												
37.1	<p><u>შეფასების სქემა:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • აპლიკანტის მიერ არაადეკვატურად შერჩეული სადისკუსიო თემა - 0 ქულა; • აპლიკანტის მიერ ადეკვატურად შერჩეული სადისკუსიო თემა, რომელიც მოიცავს ხუთივე ფოტოს - 1 ქულა. <p><u>სწორი პასუხის ნიმუში:</u></p> <p>ა) გლობალიზაცია და საქართველო, პოზიტიური და ნეგატიური მხარეები;</p>	1												
37.2	<p><u>შეფასების სქემა:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • სადისკუსიო თემასა და ფოტოებს შორის არაადეკვატური კავშირის დადგენა ფასდება 0 ქულით; • სადისკუსიო თემასა და თითოეულ ფოტოს შორის ადეკვატური კავშირის დადგენა ფასდება 1 ქულით. • დავალების მაქსიმალური ქულაა 5. <p><u>სწორი პასუხის ნიმუში:</u></p> <table border="1" data-bbox="277 772 1409 1587"> <thead> <tr> <th data-bbox="277 772 444 814">ფოტო N</th> <th data-bbox="444 772 1409 814">ახსნა</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td data-bbox="277 814 444 968">N1</td> <td data-bbox="444 814 1409 968">ა) ლუვრი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კულტურული ცენტრია მსოფლიოში, რომელსაც სტუმრობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მილიონობით მოქალაქე, მათ შორის, საქართველოდან.</td> </tr> <tr> <td data-bbox="277 968 444 1121">N2</td> <td data-bbox="444 968 1409 1121">ა) ნატო ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციაა მსოფლიოში, რომელთანაც საქართველო აქტიურად პარტნიორობს.</td> </tr> <tr> <td data-bbox="277 1121 444 1274">N3</td> <td data-bbox="444 1121 1409 1274">ა) ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ბრენდია მსოფლიოში. საქართველოში მრავალი მოქალაქეა „ეპლის“ პროდუქციის მომხმარებელი.</td> </tr> <tr> <td data-bbox="277 1274 444 1394">N4</td> <td data-bbox="444 1274 1409 1394">ა) გლობალიზაციის ერთ-ერთი სიმბოლო „მაკდონალდსი“, თბილისის მთავარ პროსპექტზე.</td> </tr> <tr> <td data-bbox="277 1394 444 1587">N5</td> <td data-bbox="444 1394 1409 1587">ა) გლობალიზაციის ერთ-ერთი ნიშანია ის, რომ ადამიანები მიდიან საცხოვრებლად სხვა ქვეყნებში და ქმნიან დიასპორებს. ქართველებიც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში არიან წასულები საცხოვრებლად, სამუშაოდ, სასწავლებლად და ა.შ.</td> </tr> </tbody> </table>	ფოტო N	ახსნა	N1	ა) ლუვრი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კულტურული ცენტრია მსოფლიოში, რომელსაც სტუმრობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მილიონობით მოქალაქე, მათ შორის, საქართველოდან.	N2	ა) ნატო ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციაა მსოფლიოში, რომელთანაც საქართველო აქტიურად პარტნიორობს.	N3	ა) ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ბრენდია მსოფლიოში. საქართველოში მრავალი მოქალაქეა „ეპლის“ პროდუქციის მომხმარებელი.	N4	ა) გლობალიზაციის ერთ-ერთი სიმბოლო „მაკდონალდსი“, თბილისის მთავარ პროსპექტზე.	N5	ა) გლობალიზაციის ერთ-ერთი ნიშანია ის, რომ ადამიანები მიდიან საცხოვრებლად სხვა ქვეყნებში და ქმნიან დიასპორებს. ქართველებიც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში არიან წასულები საცხოვრებლად, სამუშაოდ, სასწავლებლად და ა.შ.	5
ფოტო N	ახსნა													
N1	ა) ლუვრი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კულტურული ცენტრია მსოფლიოში, რომელსაც სტუმრობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მილიონობით მოქალაქე, მათ შორის, საქართველოდან.													
N2	ა) ნატო ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციაა მსოფლიოში, რომელთანაც საქართველო აქტიურად პარტნიორობს.													
N3	ა) ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ბრენდია მსოფლიოში. საქართველოში მრავალი მოქალაქეა „ეპლის“ პროდუქციის მომხმარებელი.													
N4	ა) გლობალიზაციის ერთ-ერთი სიმბოლო „მაკდონალდსი“, თბილისის მთავარ პროსპექტზე.													
N5	ა) გლობალიზაციის ერთ-ერთი ნიშანია ის, რომ ადამიანები მიდიან საცხოვრებლად სხვა ქვეყნებში და ქმნიან დიასპორებს. ქართველებიც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში არიან წასულები საცხოვრებლად, სამუშაოდ, სასწავლებლად და ა.შ.													

დავალება №	გეოგრაფია პედაგოგები MAX 70	ქულა												
37.3	<p>შეფასების სქემა:</p> <ul style="list-style-type: none"> • არასწორად მოყვანილი არგუმენტები ფასდება 0 ქულით; • რამდენიმე სურათის შერჩევის შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მათგანის არგუმენტი არასწორად იქნა მოყვანილი, აპლიკანტი ფასდება 0 ქულით; • გლობალიზაციის მომხრეებისათვის სწორად მოყვანილი არგუმენტი ფასდება 1 ქულით; • გლობალიზაციის მოწინააღმდეგეებისათვის სწორად მოყვანილი არგუმენტი ფასდება 1 ქულით; • დავალების მაქსიმალური ქულაა 2. <p>სწორი პასუხის ნიმუში:</p> <table border="1" data-bbox="248 621 1398 1276"> <thead> <tr> <th data-bbox="248 621 431 663">ფოტო N</th> <th data-bbox="431 621 873 663">მომხრეები</th> <th data-bbox="873 621 1398 663">მოწინააღმდეგეები</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td data-bbox="248 663 431 894">3</td> <td data-bbox="431 663 873 894"> <ul style="list-style-type: none"> • შემოდის მაღალი ტექნოლოგიები </td> <td data-bbox="873 663 1398 894"> <ul style="list-style-type: none"> • ქვეყნის კვალიფიციურ მუშახელს უხდის უფრო ნაკლებ ხელფასს, ვიდრე გადაუხდინდნენ შესაბამისი სამუშაოსთვის განვითარებულ ქვეყანაში. </td> </tr> <tr> <td data-bbox="248 894 431 1045">4</td> <td data-bbox="431 894 873 1045"> <ul style="list-style-type: none"> • ქვეყანაში შემოდის ინვესტიციები, იქმნება სამუშაო ადგილები </td> <td data-bbox="873 894 1398 1045"> <ul style="list-style-type: none"> • ხდება ადგილობრივი ტრადიციების, კულტურის შევიწროება. </td> </tr> <tr> <td data-bbox="248 1045 431 1276">5</td> <td data-bbox="431 1045 873 1276"> <ul style="list-style-type: none"> • ხდება სხვადასხვა კულტურების სინთეზი, შრომის რესურსის მოზიდვა </td> <td data-bbox="873 1045 1398 1276"> <ul style="list-style-type: none"> • მიგრანტები იკავებენ სამუშაო ადგილებს და ბევრად უფრო დაბალ ანაზღაურებაზე არიან თანახმა. უცხოური კულტურა, ტრადიციები ავიწროებს ადგილობრივს. </td> </tr> </tbody> </table>	ფოტო N	მომხრეები	მოწინააღმდეგეები	3	<ul style="list-style-type: none"> • შემოდის მაღალი ტექნოლოგიები 	<ul style="list-style-type: none"> • ქვეყნის კვალიფიციურ მუშახელს უხდის უფრო ნაკლებ ხელფასს, ვიდრე გადაუხდინდნენ შესაბამისი სამუშაოსთვის განვითარებულ ქვეყანაში. 	4	<ul style="list-style-type: none"> • ქვეყანაში შემოდის ინვესტიციები, იქმნება სამუშაო ადგილები 	<ul style="list-style-type: none"> • ხდება ადგილობრივი ტრადიციების, კულტურის შევიწროება. 	5	<ul style="list-style-type: none"> • ხდება სხვადასხვა კულტურების სინთეზი, შრომის რესურსის მოზიდვა 	<ul style="list-style-type: none"> • მიგრანტები იკავებენ სამუშაო ადგილებს და ბევრად უფრო დაბალ ანაზღაურებაზე არიან თანახმა. უცხოური კულტურა, ტრადიციები ავიწროებს ადგილობრივს. 	2
ფოტო N	მომხრეები	მოწინააღმდეგეები												
3	<ul style="list-style-type: none"> • შემოდის მაღალი ტექნოლოგიები 	<ul style="list-style-type: none"> • ქვეყნის კვალიფიციურ მუშახელს უხდის უფრო ნაკლებ ხელფასს, ვიდრე გადაუხდინდნენ შესაბამისი სამუშაოსთვის განვითარებულ ქვეყანაში. 												
4	<ul style="list-style-type: none"> • ქვეყანაში შემოდის ინვესტიციები, იქმნება სამუშაო ადგილები 	<ul style="list-style-type: none"> • ხდება ადგილობრივი ტრადიციების, კულტურის შევიწროება. 												
5	<ul style="list-style-type: none"> • ხდება სხვადასხვა კულტურების სინთეზი, შრომის რესურსის მოზიდვა 	<ul style="list-style-type: none"> • მიგრანტები იკავებენ სამუშაო ადგილებს და ბევრად უფრო დაბალ ანაზღაურებაზე არიან თანახმა. უცხოური კულტურა, ტრადიციები ავიწროებს ადგილობრივს. 												
38.1	ბ	1												
38.2	ბ	1												
38.3	<p>შეფასების სქემა:</p> <ul style="list-style-type: none"> • არაადეკვატური რესურსის დასახელების შემთხვევაში აპლიკანტი ფასდება 0 ქულით; • სწორად დასახელებული რესურსი ფასდება 1 ქულით. <p>სწორი პასუხის ნიმუში:</p> <p><i>მე-4 აქტივობის შესრულებისათვის მოსწავლეებს ესაჭიროებათ მსოფლიოს კონტურული რუკები.</i></p>	1												
38.4	<p>შეფასების სქემა:</p> <ul style="list-style-type: none"> • არასწორად მითითებული მიზნის შემთხვევაში აპლიკანტი ფასდება 0 ქულით; • სწორად დასახელებული მიზანი ფასდება 1 ქულით. <p>სწორი პასუხის ნიმუში:</p> <p><i>ამ გაკვეთილის მიხედვით მიულწეველია მე-2 მიზანი.</i></p>	1												

დავალება №	გეოგრაფია პედაგოგები MAX 70	ქულა
38.5	<p>შეფასების სქემა:</p> <ul style="list-style-type: none"> • მხოლოდ აქტივობის მითითების შემთხვევაში აპლიკანტი ფასდება 0 ქულით; • დასახელებული აქტივობის ადეკვატური დასაბუთება ფასდება 1 ქულით. <p>სწორი პასუხის ნიმუში:</p> <ul style="list-style-type: none"> • ყველაზე მეტი დრო დასჭირდება მე-4 აქტივობას, რადგან საკლასო სამუშაოს შესრულება მოსწავლეთა რამდენიმე აქტივობას აერთიანებს: 1 - ინტერნეტით უნდა მოიძიოს და დაახარისხოს ახალი მასალა; 2 - განსაზღვროს ვულკანების მდებარეობა და დაიტანოს კონტურულ რუკაზე. შესაბამისად, დროსაც ყველაზე მეტს დავეთმობდი. 	1
38.6	<p>შეფასების სქემა:</p> <ul style="list-style-type: none"> • არადეკვატური აქტივობის დასახელების შემთხვევაში აპლიკანტი ფასდება 0 ქულით; • ადეკვატურად შერჩეული აქტივობა ფასდება 1 ქულით. <p>სწორი პასუხის ნიმუში:</p> <p>ამ შემთხვევაში მოსწავლეებს მივცემ წინასწარ მომზადებულ დამატებით დავალებას, რომელიც დაკავშირებული იქნება გაკვეთილის თემასთან.</p>	1
38.7	<p>შეფასების სქემა:</p> <ul style="list-style-type: none"> • მხოლოდ გაკვეთილის კომპონენტის მითითების შემთხვევაში აპლიკანტი ფასდება 0 ქულით; • დასახელებული საგაკვეთილო კომპონენტის ადეკვატური ახსნა ფასდება 1 ქულით. <p>სწორი პასუხის ნიმუში:</p> <p>გაკვეთილის გეგმას აკლია დროის განაწილების კომპონენტი. დროის განაწილება მასწავლებელს შეუქმნის წარმოდგენას, თუ რომელ აქტივობას რამდენი დრო უნდა დაუთმოს გაკვეთილზე. შეუძლებელია წინასწარ ზუსტად განსაზღვრო, რა დროს მოითხოვს ესა თუ ის აქტივობა. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა კლასში, მოსწავლეთა შესაძლებლობიდან გამომდინარე, დროის განაწილება აქტივობების მიხედვით განსხვავებული იქნება.</p>	1